საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაისურაძე ლუკა მამუკას ძე

მაისურაძე ლუკა მამუკას ძე (დ. 30. I. 1998, ხაშური), სპორტსმენი (ძიუდო, სამბო). ძიუდოში ევროპის ჩემპიონი (2022) და ორგზის მესამე პრიზიორი (2019−20), ევროპის თამაშების მესამე პრიზიორი (2019); მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (2019); საქართველოს ჩემპიონი (2018); დიდი მუზარადის ტურნირების სამგზის მეორე (2019, 2022–23) და ოთხგზის მესამე პრიზიორი (2019, 2021 – სამჯერ); ევროპული თამაშების მესამე პრიზიორი (2019); ახალგაზრდებში საქართვ. ჩემპიონი (2017) და ბრინჯაოს პრიზიორი (2016); ევროპის ჩემპიონი (2018) და მესამე პრიზიორი (2017), მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (2018); ევროპის თასის მფლობელი (2018); ჭაბუკებში ევროპის თასის მფლობელი (2015); მსოფლიო ჩემპიონი სამბოში ჭაბუკთა შორის (2016).